დამტკიცებულია 2021 წლის 10 თებერვლის რედაქციით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ალბიუსის პაროდონტოლოგიის საერთაშორისო სკოლის კლუბის

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველ
საჯარო
თარიღი
ბ.ბ.რაოდენ

2021

იმის გათვალისწინებით, რომ:

- ხელმომწერი მხარეები სურვილს გამოთქვამენ, რომ უზრუნველყონ საქართველოში პაროდონტოლოგიის, როგორც დარგის განვითარება და ხელშეწყობა;

- პაროდონტოლოგიის პოპულარიზაცია და განვითარება მიღწეულ იქნება „ალბიუსის პაროდონტოლოგიის საერთაშორისო სკოლის" კურსდამთავრებულთა ჩართულობითა და კერძო სექტორის მონაწილეობით, ცოდნის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის მონაწილეებს შორის გაზიარებით, პაროდონტოლოგიის დარგში არსებული საერთაშორისო პრინციპებისა და სტანდარტების შესაბამისად;

- ხელმომწერ მხარეებს სურთ საქართველოში პაროდონტოლოგიის დარგში საერთაშორისო სტანდარტების, მკურნალობის მეთოდებისა და პროტოკოლების დანერგვა;

აქედან გამომდინარე, სათანადო და ღირებული მოსაზრებების გათვალისწინებით, ალბიუსის პაროდონტოლოგიის საერთაშორისო სკოლის კლუბის შექმნის თაობაზე ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში „**წესდება**") განსაზღვრავს ალბიუსის პაროდონტოლოგიის საერთაშორისო სკოლის კლუბის (შემდგომში "**კლუბის**") ძირითად მიზნებს, სტრუქტურას, წესებს, უფლებებს, მოვალეობებს, მისი წევრებისა და მმართველი პირების პასუხისმგებლობას საზოგადო სარგებლის დანერგვისა და რეალიზაციის პროცესში.

1.2. კლუბი არის წევრობაზე დაფუძნებული, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების მოთხოვნების შესაბამისად.

1.3. კლუბს, როგორც დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს კანონთან შესაბამისობაში განსაზღვრულ სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, რომელთა მიზნები არ ეწინააღმდეგება კლუბის საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიზნებს.

მუხლი 2. კლუბის სახელწოდება, ადგილმდებარეობა, ვიზუალური იდენტიფიკაციის საშუალებები და მოქმედების ვადა

2.1. კლუბის სახელწოდება ქართულ ენაზე არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **„ალბიუსის პაროდონტოლოგიის საერთაშორისო სკოლის კლუბი“**. კლუბის სახელწოდება ინგლისურ ენაზე ითარგმნება, როგორც Non-entrepreneurial (Non-commercial) Legal Entity **„Albius International PerioSchool Club“**.

2.2. კლუბის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ქუჩა რ. თაბუკაშვილი (ყოფ. ძნელაძე) N27/1.

2.3. კლუბის ელექტრონული ფოსტის მისამართია: aipsclub@albius.ge

2.4. კლუბის ვებ-გვერდის მისამართია: www.parodontolo.ge

2.5. კლუბი უფლებამოსილია ჰქონდეს ლოგო, აბრევიატურა, სლოგანი, ბეჭედი და ვიზუალური იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები თავისი ოფიციალური სახელით ან/და აბრევიატურით.

2.6. კლუბი დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 3. კლუბის სტატუსი და პრინციპები

3.1. კლუბი არის ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი, აპოლიტიკური, მიუკერძოებელი და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული, ფიზიკური პირებისგან შემდგარი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის საქმიანობა უკავშირდება საქართველოში პაროდონტოლოგიის განვითარებას, ამ დარგში წევრთა თანამშრომლობის ხელშეწყობასა და მათი შესაძლებლობების ზრდას პაროდონტოლოგიის განვითარების სტრატეგიის დანერგვისა და განხორციელების პროცესში.

3.2. კლუბი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- წევრთა შორის თანასწორობა და ურთიერთპატივისცემა;
- წევრებს შორის თანამშრომლობა და მრავალმხრივი კომუნიკაცია;
- კლუბში მიმდინარე პროცეს(ებ)ის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა ყველა მონაწილისათვის;
- კლუბის წევრთათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა და მათი უფლებების რეალიზაცია;
- თანამედროვე და საუკეთესო პრაქტიკის იმპლემენტაცია პაროდონტოლოგიის განვითარების პროცესში;
- კლუბის ეფექტური და დაბალანსებული მართვის პრინციპი.

მუხლი 4. კლუბის მიზნები, ამოცანები და საქმიანობის მიმართულებები

4.1. კლუბს აქვს შემდეგი მიზნები და ამოცანები:

- პაროდონტოლოგიის, როგორც დარგის პოპულარიზაცია და განვითარება;
- საქართველოში პაროდონტოლოგიის დარგში სართაშორისო სტანდარტების, მკურნალობის მეთოდების და პროტოკოლების დანერგვა;
- პაროდონტოლოგიის დარგში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის გზების ძიება;
- კლუბის წევრი ექიმი-პაროდონტოლოგებისთვის პროფესიული ცოდნის ამაღლება, პაროდონტოლოგიის დარგში არსებული სიახლეების გაზიარება, ლექციებისა და პრაქტიკული კურსების ჩატარება, წევრთათვის პაროდონტოლოგიის უახლეს მიღწევებთან წვდომის შესაძლებლობის შექმნა;
- პაროდონტოლოგიაში რთული კლინიკური შემთხვევების გაზიარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა პროფესიონალ ექიმებთან თანამშრომლობის გზით;
- საერთაშორისო აღიარების მქონე პაროდონტოლოგებთან წევრთა კომუნიკაციის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

4.2. კლუბის საქმიანობის ფორმები და მიმართულებები:

- სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კონფერენციების, დისკუსიების ორგანიზება და ჩატარება პაროდონტოლოგიის დარგში მოღვაწე ექიმებისა და პროფესიონალების მონაწილეობით;
- შესაძლებლობების ზრდისკენ მიმართული საქმიანობა, რაც მოიცავს სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;
- კლუბის წევრების პაროდონტოლოგიის დარგში აქტიური პროფესიული ჩართულობის ხელშეწყობა, ამ დარგში მოქმედი საერთაშორისო პრინციპების, მეთოდებისა და პროტოკოლების დანერგვა/გაძლიერება;
- კლუბის შიდაორგანიზაციული ჯგუფების მიერ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პროექტების შემუშავება და განხორციელება, პაროდონტოლოგიის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, მართვა, წევრთა ინფორმირება, კონსულტირება და დარგის ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფა;

4.3. კლუბს უფლება აქვს, განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც არ ცვლის, მისი როგორც არასემაწარმეო იურიდიული პირის ხასიათს და ემსახურება მისი მიზნების განხორციელებას.

მუხლი 5. დამფუძნებელი წევრები

5.1. კლუბის დამფუძნებელი წევრები არიან:

5.1.1. ქეთევან კიღურაძე-გოგილაშვილი (საქართველოს მოქალაქე; პ/ნ: 01008011012, იურიდიული მისამართი: თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ. N 47ა ბ. 15; ელექტრონული ფოსტა: gogilashvilik@gmail.com);

5.1.2. თეა ნაცვლიშვილი (საქართველოს მოქალაქე; პ/ნ: 01011020240, იურიდიული მისამართი: თბილისი, რომანოზ ხომლელის ქუჩა, N 3ა, ბინა 8; ელექტრონული ფოსტა: tea.natsvlishvili@gmail.com);

5.1.3. სოფიო კიღურაძე (საქართველოს მოქალაქე; პ/ნ: 01031006517, იურიდიული მისამართი: თბილისი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 43; ელექტრონული ფოსტა: sophiak@albius.ge).

მუხლი 6. წევრები, წევრად მიღება

6.1. წინამდებარე წესდებით დგინდება კლუბის წევრის სამი სტატუსი:

6.1.1. მმართველი წევრები;

6.1.2. ასოცირებული წევრები;

6.1.3. საპატიო წევრები.

6.2. კლუბის მმართველი წევრები არიან კლუბის დამფუძნებელი წევრები. ამასთან, კლუბის მმართველი წევრი შეიძლება გახდეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრულ ყველა შემდეგ პირობას:

- მმართველი წევრობის მსურველმა პირმა (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კანდიდატი") წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად წერილობითი განცხადებით (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კლუბის ვებ-გვერდის მეშვეობით სპეციალური სააპლიკაციო ფორმის გამოყენებით) მიმართა მმართველ წევრთა კრებას;
- კანდიდატი უწყვეტად ფლობს კლუბის ასოცირებული წევრის სტატუსს მინიმუმ 5 წლის განმავლობაში მმართველ წევრთა კრებისთვის წერილობითი განცხადებით მიმართვის დღისათვის;
- კანდიდატი იზიარებს კლუბის მიზნებს და იცავს წინამდებარე წესდებითა და კლუბის მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებული აქტების მოთხოვნებს;

6.2.1. კანდიდატი კლუბის მმართველ წევრთა კრებას მიმართავს წერილობითი განცხადებით (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კლუბის ვებ-გვერდის მეშვეობით სპეციალური სააპლიკაციო ფორმის გამოყენებით) კლუბის მმართველი წევრის სტატუსის მინიჭების მოთხოვნის თაობაზე. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები/ინფორმაცია:

- კანდიდატის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მინდობილი პირის მეშვეობით განცხადების შემთხვევაში, დამატებით წარმოსადგენია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);
- ცნობა გაცემული კლუბის პრეზიდენტის მიერ კანდიდატის კლუბში ასოცირებულ წევრად გაწევრიანების თარიღისა და წევრობის უწყვეტობის შესახებ;
- კანდიდატის პროფესიული/აკადემიური რეზიუმე და სამოტივაციო წერილი;
- ინფორმაცია კანდიდატის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართის, ტელეფონისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ.

6.2.2. კანდიდატისთვის კლუბის მმართველი წევრის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას წესდებით გათვალისწინებული წესების დაცვით იღებს სათანადო წესით მოწვეული კლუბის მმართველ წევრთა კრება ასეთი განცხადების მიღებიდან პირველსავე მმართველ წევრთა კრებაზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა მმართველ წევრთა კრების ხმების 100% (ასი პროცენტი). მმართველ წევრთა კრების გადაწყვეტილება საბოლოოა.

6.2.3. მმართველ წევრთა მიერ კანდიდატის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კანდიდატი მმართველი წევრის სტატუსს იძენს მმართველი კრების მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან, ამავდროულად, შეწყვეტილად ითვლება კანდიდატის ასოცირებული წევრობის სტატუსი.

6.3. კლუბის ასოცირებული წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

- ასოცირებული წევრობის მსურველმა პირმა (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში მოხსენიებული, როგორც „განმცხადებელი“) წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად წერილობითი განცხადებით (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კლუბის ვებ-გვერდის მეშვეობით სპეციალური სააპლიკაციო ფორმის გამოყენებით) მიმართა კლუბის პრეზიდენტს;
- განცმხადებელი არის ალბიუსის პაროდონტოლოგიის საერთაშორისო სკოლის კურსდამთავრებული;

- განმცხადებელი იზიარებს კლუბის მიზნებს, გამოთქვამს თანხმობას, დაიცვას წინამდებარე წესდებითა და კლუბის მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებული აქტების მოთხოვნები;

6.3.1. განმცხადებელი კლუბის პრეზიდენტს მიმართავს წერილობითი განცხადებით (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კლუბის ვებ-გვერდის მეშვეობით სპეციალური სააპლიკაციო ფორმის გამოყენებით) კლუბის ასოცირებულ წევრად გაწევრიანების თაობაზე. წერილობით განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

- განმცხადებლის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მინდობილი პირის მეშვეობით განცხადების შემთხვევაში, დამატებით წარმოსადგენია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);
- ალბიუსის პაროდონტოლოგიის საერთაშორისო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ინფორმაცია კანდიდატის იურიდიული/ფაქტობრივი მისამართის, ტელეფონისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის შესახებ.

6.3.2. განმცხადებლის კლუბის ასოცირებულ წევრად მიღების ან განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კლუბის პრეზიდენტი და გამოსცემს შესაბამის ბრძანებას განცხადების მიღების დღიდან 14 კალდენდარული დღის ვადაში. კლუბის პრეზიდენტის გადაწყვეტილება საბოლოოა. განცხადების დაკმაყოდილების შემთხვევაში, განმცხადებელი ასოცირებული წევრის სტატუსს იღებს ბრძანების ხელმოწერისთანავე, თუ ამავე ბრძანებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

6.3.3. წინამდებარე წესდებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, კლუბის ასოცირებული წევრები უფლებამოსილნი არიან საკუთარი ინიციატივით ნებისმიერ დროს დატოვონ კლუბი.

6.4. კლუბის საპატიო წევრები არიან პირები, რომელთაც ნებაყოფლობითი წერილობითი განცხადების/თანხმობის შესაბამისად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კლუბის ვებ-გვერდის მეშვეობით სპეციალური სააპლიკაციო ფორმის გამოყენებით), ასეთი განცხადების/თანხმობის მიღებიდან 14 კალენდარული დღის ვადაში, კლუბის პრეზიდენტი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით და ბრძანების საფუძველზე ანიჭებს საპატიო წევრობას ან უარს ეუბნება განმცხადებელს კლუბის საპატიო წევრად მიღებაზე. კლუბის საპატიო სტატუსს კლუბის პრეზიდენტი ანიჭებს ასეთი წევრობის მსურველ პირებს, რომელთაც აქვთ განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება პაროდონტოლოგიის დარგში ან/და კლუბის წინაშე. კლუბის საპატიო წევრები არ

მონაწილეობენ კლუბის მმართველობით და წარმომადგენლობით ორგანოებში, არ სარგებლობენ შეკრებებზე/კრებაზე ხმის უფლებით, ასევე, არ იხდიან საწევრო გადასახადს. პირი კლუბის საპატიო წევრის სტატუსს იძენს ბრძანების ხელმოწერისთანავე, თუ ამავე ბრძანებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

მუხლი 7. წევრთა უფლებები და მოვალეობები

7.1. კლუბის მმართველი წევრი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს თავად ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. კლუბის მმართველ წევრს უფლება აქვს:

7.1.1. მონაწილეობა მიიღოს კლუბის მმართველ წევრთა კრებაში ხმის უფლებით;

7.1.2. მონაწილეობა მიიღოს კლუბის მიერ ორგანიზებულ პროექტებში, დაესწროს კლუბის წევრთა შეხვედრებს, სემინარებს, მოწყობილ დისკუსიებს, საჯარო და დახურულ ლექციებს, სემინარებს, ვებინარებსა და სხვა პროფესიულ კურსებს;

7.1.3. წარადგინოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა კანდიდატურები;

7.1.4. გაეცნოს კლუბის მმართველობითი და წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მიღებულ ყველა და თითოეულ გადაწყვეტილებას/სამართლებრივ დოკუმენტებს/შემუშავებულ და მიმდინარე პროექტებს;

7.1.5. არჩეულ იქნეს კლუბის ნებისმიერი მმართველობითი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წევრად/თანამდებობაზე შეზღუდვის გარეშე, რაც არ გამოიწვევს მისთვის კლუბის მმართველი წევრის სტატუსის შეცვლას/შეჩერებას/გაუქმებას/შეწყვეტას/ხმის უფლების დაკარგვას;

7.1.6. ისარგებლოს კლუბის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და კლუბის პრეზიდენტის მიერ დადგენილი რეგლამენტის/შინაგანაწესის შესაბამისად;

7.1.7. წესდების პირობების შესაბამისად მიიღოს სარგებელი კლუბის საქმიანობით;

7.1.8. კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს კლუბის საქმიანობაში;

7.1.9. კლუბის რომელიმე წევრის უფლების დარღვევის შემთხვევაში, წერილობით მიმართოს მმართველობით ან/და წარმომადგენლობით ორგანოს, დააყენოს აღნიშნული საკითხი კლუბის მმართველ წევრთა კრების მომდევნო, უახლოეს სხდომაზე;

7.1.10. შეუზღუდავად გავიდეს კლუბის წევრობიდან წინამდებარე წესდებით დადგენილი წესის დაცვით.

7.2. კლუბის ასოცირებული წევრი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს თავად ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. კლუბის ასოცირებულ წევრს უფლება აქვს:

7.2.1. მონაწილეობა მიიღოს კლუბის ასოცირებულ წევრთა კრებაში ხმის უფლებით;

7.2.2. მონაწილეობა მიიღოს კლუბის მიერ ორგანიზებულ პროექტებში, დაესწროს კლუბის წევრთა შეხვედრებს, სემინარებს, მოწყობილ დისკუსიებს, საჯარო და დახურულ ლექციებს, სემინარებს, ვებინარებსა და სხვა პროფესიულ კურსებს;

7.2.3. გაეცნოს კლუბის მმართველობითი და წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ შემუშავებულ/დამტკიცებულ პროექტებს და ჩაერთოს მათი განხორციელების პროცესში;

7.2.4. არჩეულ იქნეს კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს, საორგანიზაციო ჯგუფის წევრად, ან/და კლუბის პრეზიდენტად/პრეზიდენტის მოადგილედ, რაც არ გამოიწვევს მისთვის კლუბის ასოცირებული წევრის სტატუსის შეცვლას/შეჩერებას/გაუქმებას/შეწყვეტას/ხმის უფლების დაკარგვას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასოცირებული წევრი მიიღებს მმართველი წევრის სტატუსს, რა დროსაც ასოცირებული წევრის სტატუსი წყდება (იცვლება მმართველი წევრის სტატუსით);

7.2.5. ისარგებლოს კლუბის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით, წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და კლუბის პრეზიდენტის მიერ დადგენილი რეგლამენტის/შინაგანაწესის შესაბამისად;

7.2.6. კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს კლუბის საქმიანობაში;

7.2.7. კლუბის რომელიმე წევრის უფლების დარღვევის შემთხვევაში, წერილობით მიმართოს მმართველობით ან/და წარმომადგენლობით ორგანოს, დააყენოს აღნიშნული საკითხი კლუბის ასოცირებულ წევრთა კრების მომდევნო, უახლოეს სხდომაზე;

7.2.8. შეუზღუდავად გავიდეს კლუბის წევრობიდან წინამდებარე წესდებით დადგენილი წესის დაცვით.

7.3. კლუბის საპატიო წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს თავად ან/და შესაბამისად უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით. კლუბის საპატიო წევრი უფლებამოსილია:

7.3.1. მონაწილეობა მიიღოს კლუბის მიერ ორგანიზებულ პროექტებში, დაესწროს კლუბის წევრთა შეხვედრებს, სემინარებს, მოწყობილ დისკუსიებს, საჯარო და დახურულ ლექციებს, სემინარებს, ვებინარებსა და სხვა პროფესიულ კურსებს;

7.3.2. კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს კლუბის საქმიანობაში;

7.3.3. შეუზღუდავად გავიდეს კლუბის წევრობიდან წინამდებარე წესდებით დადგენილი წესის დაცვით.

7.4. კლუბის ყველა წევრი ვალდებულია:

7.4.1. გაეცნოს კლუბის წესდებას (ასევე, მის სამომავლო ცვლილებებს/დამატებებს პერიოდიულად), შინაგანაწესს, პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ რეგლამენტს, ბრძანებებს და შეასრულოს მმართველი ორგანოს გადაწყვეტილებები;

7.4.2. მონაწილეობა მიიღოს კლუბის რეგულარულ შეხვედრებში მისი ამოცანების განსახორციელებლად, ჩაერთოს კლუბის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში, აქტივობებსა და საგანმანათლებლო პროცესებში;

7.4.3. კლუბის პრეზიდენტის ბრძანებით დადგენილი წესითა და ოდენობით, გადაიხადოს კლუბის საწევრო გადასახადი კლუბის ოფიციალურ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. აღნიშნული ვალდებულება არ ეკისრებათ და არ ვრცელდება კლუბის საპატიო წევრებზე.

7.4.4. ხელი შეუწყოს კლუბის გაძლიერებას, ფუნქციონირებასა და მის პოპულარიზაციას;

7.4.5. კლუბის წევრი პასუხისმგებელია შეასრულოს წესდებითა და კლუბის მმართველობითი ორგანოების მიერ დამტკიცებული შინაგანაწესით/ბრძანებებით/გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

7.4.6. გაუფრთხილდეს კლუბის ქონებასა და ავტორიტეტს;

7.4.7. კლუბის პრეზიდენტის წერილობითი თანხმობის გარეშე, კლუბის სახელით ან/და მისი სიმბოლიკის გამოყენებით არ გააკეთოს/განახორციელოს საჯარო განცხადება ან/და აქტივობა, რომელიც შეზღუდვის გარეშე მოიცავს და არ შემოიფარგლება, სოციალური ქსელის, რადიო, სატელევიზიო ან/და სხვა კომუნიკაციების საშუალებით ინფორმაციის გავრცელებას, პოზიციის დაფიქსირებას და სხვა;

7.4.8. საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, შესაბამისი ცვლილება წერილობით წარუდგინოს/აცნობოს კლუბის პრეზიდენტს შესაბამისი მონაცემების ცვლილებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში, ხოლო წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების ან/და მის უფლებამოსილებაში ცვილებების შეტანის შემთხვევაში - ცვლილების რეგისტრაციიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8. წევრობის შეწყვეტა

8.1. კლუბის ასოცირებულ ან/და საპატიო წევრს კლუბის წევრობა შეუწყდება:

8.1.1. ნებაყოფლობით, წევრის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ კლუბის პრეზიდენტისთვის გაგზავნილი ცალმხრივი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

8.1.2. იმ შემთხვევაში თუ კლუბის ასოცირებული წევრი ერთჯერადად 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით გადააცილებს კლუბის საწევროს გადახდას ან ზედიზედ ორჯერ დაარღვევს კლუბის საწევროს გადახდის წესს, იმ პირობით, რომ წევრობის შეწყვეტამდე კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ გამოყენებულ იქნება წინასწარი წერილობითი გაფრთხილება. აღნიშნული დანაწესი არ ვრცელდება კლუბის საპატიო წევრზე;

8.1.3. წევრის გარდაცვალების ან/და კლუბის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

8.1.4. ისეთი გარემოების წარმოშობის ან/და აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც შეუსაბამოა კლუბის წევრის კლუბში წევრობასთან;

8.1.5. წევრის მიერ ისეთი ქმედების/უმოქმედობის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც ეწინააღმდეგება კლუბის მიზნებს ან/და საქმიანობას;

8.1.6. ისეთი ქმედების განხორციელებისას, რომელიც ლახავს ან საფრთხეს უქმნის კლუბის რეპუტაციას ან/და ქონებას ან/და ავტორიტეტს ან/და ზიანს აყენებს კლუბს ან მის წევრებს ან ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საშიშროებას;

8.1.7. კლუბის ასოცირებული წევრის მიერ არასაპატიო მიზეზით ან/და საპატიო მიზეზის არსებობისას ასეთი მიზეზის არსებობის თაობაზე წინასწარი წერილობითი გაფრთხილების გარეშე, ასოცირებულ წევრთა კრების გაცდენა მინიმუმ 3-ჯერ. აღნიშნული დანაწესი არ ვრცელდება კლუბის საპატიო წევრზე.

8.1.8. წევრის მიერ კლუბის წესდებით ან/და შინაგანაწესით ან/და მმართველობითი/წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მოთხოვნის/ვალდებულების დარღვევის შეთხვევაში;

8.1.9. ამ წესდების 6.2.3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

8.2. ამ მუხლის 8.1.2, 8.1.4, 8.1.5, 8.1.6, 8.1.7, 8.1.8 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება კლუბის ასოცირებული, ხოლო 8.1.4, 8.1.5, 8.1.6 და 8.1.8 შემთხვევებში საპატიო წევრის წევრობის შეწყვეტის თაობაზე მიიღება კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ ერთხმად, იმ ჯგუფის წევრის ხმის გამოკლებით (თუკი წვერობის შეწყვეტის საკითხი ეხება საორგანიზაციო ჯგუფის რომელიმე წევრს), რომლის წევრობის შეწყვეტის საკითხიც განიხილება, წევრობა შეწყვეტილად ითვლება გადაწყვეტილების მიღებისთანავე. ამ მუხლის 8.1.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ასოცირებული ან/და საპატიო წევრის წევრობა შეწყვეტილად ითვლება განცხადების კლუბის პრეზიდენტისთვის გაგზავნისთანავე. ამ მუხლის 8.1.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში წევრობა შეწყვეტილად ითვლება წევრის გარდაცვლაების ან/და კლუბის ლიკვიდაციის განხორციელებისთანავე. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, წინამდებარე წესდების 8.1 და 8.2 მუხლებით დადგენილი წესები არ ვრცელდება კლუბის მმართველ წევრებზე.

8.3. კლუბის მმართველ წევრს კლუბის წევრობა შეუწყდება:

8.3.1. ნებაყოფლობით, მმართველი წევრის ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ცალმხრივი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

8.3.2. მმართველი წევრის გარდაცვალების ან/და კლუბის ლიკვიდაციის შემთხვევაში;

8.3.3. არასაპატიო მიზეზით ან/და საპატიო მიზეზის არსებობისას ასეთი მიზეზის არსებობის თაობაზე წინასწარი წერილობითი გაფრთხილების გარეშე, მმართველ წევრთა კრების ზედიზედ მინიმუმ 3-ჯერ გაცდენის შემთხვევაში.

8.4. ამ მუხლის 8.3.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება კლუბის მმართველი წევრის წევრობის შეწყვეტის თაობაზე მიიღება კლუბის მმართველ წევრთა კრების მიერ ერთხმად, იმ მმართველი წევრის ხმის გამოკლებით, რომლის წევრობის შეწყვეტის საკითხიც განიხილება - ასეთ შემთხვევაში წევრობა შეწყვეტილად ითვლება გადაწყვეტილების მიღებისთანავე. ამ მუხლის 8.3.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მმართველი წევრის წევრობა შეწყვეტილად ითვლება წერილობითი

განცხადების პრეზიდენტისთვის გაგზავნისთანავე. ამ მუხლის 8.1.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში წევრობა შეწყვეტილად ითვლება წევრის გარდაცვლაების ან/და კლუბის ლიკვიდაციის განხორციელებისთანავე.

მუხლი 9. კლუბის მმართველობითი სტრუქტურა და წარმომადგენლობითი ორგანო

9.1. კლუბის მმართველობითი სტრუქტურა შედგება შემდეგი ორგანოებისგან:

- მმართველ წევრთა კრება;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- ასოცირებულ წევრთა კრება;
- საორგანიზაციო ჯგუფი;
- პრეზიდენტი
- პრეზიდენტის მოადგილე

9.2. კლუბის მმართველ წევრთა კრება ირჩევს და ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს.

9.3. კლუბის მმართველ წევრთა კრება ირჩევს და ნიშნავს საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს კლუბის ასოცირებულ წევრთა კრების წარდგინების საფუძველზე.

9.4. კლუბის მმართველ წევრთა კრება ირჩევს და ნიშნავს კლუბის პრეზიდენტსა და პრეზიდენტის მოადგილეს ასოცირებულ წევრთა კრების წარდგინების საფუძველზე. ასოცირებულ წევრთა კრება კლუბის მმართველ წევრთა კრებას წარუდგენს პრეზიდენტისა და პრეზიდენტის მოადგილის კანდიდატურას საორგანზიაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებული სიიდან.

9.5. ასოცირებულ წევრთა კრება შედგება კლუბის ყველა ასოცირებული წევრისგან.

9.6. კლუბის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გააჩნია კლუბის პრეზიდენტს.

მუხლი 10. მმართველ წევრთა კრება

10.1. კლუბის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს კლუბის მმართველ წევრთა კრება.

10.2. მმართველ წევრთა კრება შედგება ყველა მმართველი წევრისგან. მმართველი წევრები არიან კლუბის დამფუძნებელი წევრები და წინამდებარე წესდების მოთხოვნათა დაცვით მმართველ წევრთა გადაწყვეტილებით მმართველი წევრის სტატუსით მიღებული წევრები.

10.3. მმართველ წევრთა კრება გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

10.3.1. კლუბში მმართველი წევრის გაწევრიანება ან გაწევრიანებაზე უარის თქმა;

10.3.2. კლუბის წესდების/წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ან/და ახალი რედაქციის დამტკიცება;

10.3.3. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს წევრ(ებ)ის კანდიდატურების წარდგენა, მათი არჩევა და გათავისუფლება;

10.3.4. კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის წევრ(ებ)ის არჩევა და გათავისუფლება. მმართველ წევრთა კრება საორგანიზაციო ჯგუფის წევრ(ებ)ს ირჩევს კლუბის ასოცირებული წევრების წარდგინებით;

10.3.5. კლუბის პრეზიდენტისა და პრეზიდენტის მოადგილის არჩევა და გათავისუფლება. მმართველ წევრთა კრება კლუბის პრეზიდენტსა და მის მოადგილეს ირჩევს კლუბის ასოცირებულ წევრთა მიერ წარდგენილი კანდიდატურ(ებ)იდან. ასოცირებულ წევრთა კრება წარსადგენ კანდიდატურას ირჩევს კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ წარდგენილი სიიდან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველ წევრთა კრებაზე კრებამ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილ კანდიდატ(ებ)ს ზედიზედ ორჯერ, მმართველ წევრთა კრება უფლებამოსილია წარდგინების გარეშე თავისი ინიციატივით აირჩიოს კლუბის პრეზიდენტი ან/და მისი მოადგილე;

10.3.6. კლუბის წარმომადგენლობის ან/და ფილიალის გახსნის ან/და დახურვის, მათი დებულების/წესდების/ნორმატიული აქტებისა და წარმომადგენლობითი/ხელმძღვანელი/მმართველი პირების დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება;

10.3.7. კლუბის რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

10.3.8. კლუბის ემბლემის, სიმბოლოს, ლოგოს, დიზაინის, სასაქონლო ნიშნის, აბრევიატურების შემუშავება და დამტკიცება;

10.3.9. მუდმივმოქმედი ან/და დროებითი კომისიების/კომიტეტების/საგამოძიებო ჯგუფების შექმნა, მათი შემადგენლობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

10.3.10. კლუბის მიერ ქონების შეძენა, გასხვისება, ნებისმიერი სანივთო ვალდებულებით დატვირთვა, რომლის მოცულობა/ღირებულებაც ერთჯერადად აღემატება 2000 (ორი ათასი) ლარს;

10.3.11. კლუბის პრეზიდენტის მიერ ისეთი გარიგების დადებაზე თანხმობის გაცემა, რომლის ღირებულება ერთჯერადად აღემატება 2000 (ორი ათასი) ლარს;

10.3.12. კლუბში აუდიტის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

10.4. კლუბის მმართველ წევრთა კრების მოწვევა ხდება საქართველოს დედაქალაქ თბილისში:

10.4.1. რომელიმე მმართველი წევრის ინიციატივით წელიწადში არანაკლებ ერთხელ. კრების ინიციატორი მმართველი წევრი ვალდებულია უზრუნველყოს სხვა მმართველი წევრებისთვის დღის წესრიგისა და კრების თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება კრებამდე

არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს მმართველი წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე. კრების დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ მმართველ წევრთა კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ყველა მმართველი წევრი. კრება შესაძლებელია ჩატარდეს ამ მუხლით გათვალისწინებული ვადის დაუცველად თუ კრებას ესწრება ყველა მმართველი წევრი და გამოთქვამს სპეციალურ წერილობით თანხმობას აღნიშნულზე.

10.4.2. კლუბის პრეზიდენტის ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში კლუბის პრეზიდენტი ვალდებულია უზრუნველყოს მმართველი წევრებისთვის დღის წესრიგისა და კრების თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება კრებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს მმართველი წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე. წერილობითი შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს კლუბის პრეზიდენტის მიერ. კრების დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ მმართველ წევრთა კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ყველა მმართველი წევრი.

10.4.3. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ორი წევრის ინიციტივით. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მმართველი წევრებისთვის დღის წესრიგისა და კრების თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება კრებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს მმართველი წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე. წერილობითი შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ ორი წევრის მიერ. კრების დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ მმართველ წევრთა კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ყველა მმართველი წევრი.

10.4.4. წინამდებარე წესდების 10.4.1, 10.4.2 და 10.4.3 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კრების ჩატარების ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი, ხოლო კრების ჩატარების დროს ნებისმიერი სამუშაო დღე (ქ. თბილისის დროით დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე შუალედში).

10.4.5. წინამდებარე წესდების 10.4.1, 10.4.2 და 10.4.3 გათვალისწინებულ შემთხვევაში, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაზე შესაბამისი წერილობითი დასაბუთების თანდართვის და ყველა წევრის თანხმობის არსებობის შემთხვევაში, კრება შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული საშუალების გამოყენებით. კრების ელექტრონული საშუალების გამოყენებით ჩატარების შემთხვევაში კრების

მიმდინარეობა, დასაწყისიდან კრების დასრულებამდე, უნდა იქნეს შესაბამისად ჩაწერილი ვიდეოჩანაწერის სახით და შენახული კრების თავჯდომარის მიერ, ხოლო ოქმი მის მიერ ხელმოწერილი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

10.5. მმართველ წევრთა მიერ მმართველ წევრთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესი:

10.5.1. მმართველ წევრთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სავალდებულო კვორუმის არსებობის შემთხვევაში - მმართველ წევრთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ კრებაზე გამოცხადდება მმართველ წევრთა საერთო რაოდენობის 2/3 (ორი მესამედი). თითოეული მმართველი წევრი სარგებლობს თითო ხმის უფლებით.

10.5.2. იმ შემთხვევაში, თუ პირველ კრებაზე კვორუმი არ შედგება, კრება ჩატარდება ხელმეორედ, რის შესახებაც მმართველ წევრებს ეცნობებათ წინამდებარე წესდების 10.4 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების წესის დაცვით. აღნიშნულ შემთხვევაში, კრება უფლებამოსილი და გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებულ მმართველ წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

10.5.3. კლუბის მმართველ წევრთა კრებას ხელმძღვანელობს დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით არჩეული სხდომის თავჯდომარე.

10.5.4. კლუბის მმართველ წევრთა კრების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა წესდებით გარკვეულ საკითხებზე დადგენილია ხმათა უფრო მაღალი სტანდარტი.

10.5.5. კლუბის მმართველ წევრთა კრების გადაწყვეტილებები იწერება კრების ოქმ(ებ)ის სახით. მმართველ წევრთა კრების ოქმს ხელს აწერს სხდომის თავჯდომარე.

მუხლი 11. ასოცირებულ წევრთა კრება

11.1. კლუბის ერთ-ერთ მმართველობით ორგანოს წარმოადგენს კლუბის ასოცირებულ წევრთა კრება.

11.2. ასოცირებულ წევრთა კრება შედგება ყველა ასოცირებული წევრისგან. ასოცირებული წევრები არიან წინამდებარე წესდების მოთხოვნათა დაცვით კლუბის პრეზიდენტის ბრძანების/გადაწყვეტილების საფუძველზე ასოცირებული წევრის სტატუსით მიღებული წევრები. თითოეულ წევრს აქვს თითო ხმის უფლება.

11.3. ასოცირებულ წევრთა კრება გადაწყვეტილებას იღებს შემდეგ საკითხებზე:

11.3.1. კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის წევრ(ებ)ის კანდიდატ(ებ)ის შერჩევა და კანდიდატთა სიის წარდგენა კლუბის მმართველ წევრთა კრებისათვის;

11.3.2. კლუბის პრეზიდენტისა და პრეზიდენტის მოადგილის კანდიდატების შერჩევა და წარდგენა კლუბის მმართველ წევრთა კრებისთვის;

11.3.3. კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ ასოცირებულ წევრთა კრებისათვის წარდგენილი წლიური ბიუჯეტის დამტკიცება, ასეთი ბიუჯეტის პროექტის წარდგენიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში;

11.4. კლუბის ასოცირებულ წევრთა კრების მოწვევა ხდება საქართველოს დედაქალაქ თბილისში:

11.4.1. მინიმუმ 10 ასოცირებული წევრისგან შემდგარი ჯგუფის ინიციატივით წელიწადში არანაკლებ ერთხელ. კრების ინიციატორ წევრთა ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს სხვა ასოცირებული წევრებისთვის დღის წესრიგისა და კრების თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება კრებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს ასოცირებული წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე. წერილობითი შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს მინიმუმ 10 ასოცირებული წევრის მიერ. კრების დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ ასოცირებულ წევრთა კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ყველა ასოცირებული წევრი.

11.4.2. კლუბის პრეზიდენტის ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში კლუბის პრეზიდენტი ვალდებულია უზრუნველყოს ასოცირებული წევრებისთვის დღის წესრიგისა და კრების თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება კრებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს ასოცირებული წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე. წერილობითი შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს კლუბის პრეზიდენტის მიერ. კრების დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ ასოცირებულ წევრთა კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ყველა ასოცირებული წევრი.

11.4.3. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს არანაკლებ ორი წევრის ინიციტივით. ასეთ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ასოცირებული წევრებისთვის დღის წესრიგისა და კრების თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება კრებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს ასოცირებული წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე. წერილობითი შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ ორი წევრის მიერ. კრების დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ ასოცირებულ წევრთა კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ყველა ასოცირებული წევრი.

11.4.4. წინამდებარე წესდების 11.4.1, 11.4.2 და 11.4.3 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კრების ჩატარების ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი, ხოლო კრების ჩატარების დროს ნებისმიერი სამუშაო დღე (ქ. თბილისის დროით დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე შუალედში).

11.4.5. წინამდებარე წესდების 11.4.1, 11.4.2 და 11.4.3 გათვალისწინებულ შემთხვევაში, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაზე შესაბამისი წერილობითი დასაბუთების თანდართვის და ყველა ასოცირებული წევრის თანხმობის არსებობის შემთხვევაში, კრება შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული საშუალების გამოყენებით. კრების ელექტრონული საშუალების გამოყენებით ჩატარების შემთხვევაში კრების მიმდინარეობა, დასაწყისიდან კრების დასრულებამდე, უნდა იქნეს შესაბამისად ჩაწერილი ვიდეოჩანაწერის სახით და შენახული კრების თავჯდომარის მიერ, ხოლო ოქმი ხელმოწერილი თავჯდომარისა და მდივნის მიერ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

11.5. ასოცირებულ წევრთა მიერ ასოცირებულ წევრთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესი:

11.5.1. ასოცირებულ წევრთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სავალდებულო კვორუმის არსებობის შემთხვევაში - ასოცირებულ წევრთა კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ კრებაზე გამოცხადდება ასოცირებულ წევრთა ნახევარზე მეტი (50%-ს +1). თითოეული ასოცირებული წევრი სარგებლობს თითო ხმის უფლებით.

11.5.2. იმ შემთხვევაში, თუ პირველ კრებაზე კვორუმი არ შედგება, კრება ჩატარდება ხელმეორედ, რის შესახებაც ასოცირებულ წევრებს ეცნობებათ წინამდებარე წესდების 11.4 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების წესის დაცვით. აღნიშნულ შემთხვევაში, კრება უფლებამოსილი და გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებულ ასოცირებულ წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

11.5.3. კლუბის ასოცირებულ წევრთა კრებას ხელმძღვანელობს დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით არჩეული სხდომის თავჯდომარე და 1 (ერთი) სხდომის მდივანი.

11.5.4. კლუბის ასოცირებულ წევრთა კრების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

11.5.5. კლუბის ასოცირებულ წევრთა კრების გადაწყვეტილებები იწერება კრების ოქმ(ებ)ის სახით. ასოცირებულ წევრთა კრების ოქმს ხელს აწერს სხდომის თავჯდომარე და სხდომის მდივანი.

მუხლი 12. სამეთვალყურეო საბჭო

12.1. კლუბის სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს კლუბის ერთ-ერთ მმართველობით ორგანოს, რომელიც შედგება 5 (ხუთი) წევრისაგან და რომელთაც ირჩევს კლუბის მმართველ წევრთა საბჭო 10 წლის ვადით. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი უნდა იყოს კლუბის წევრი. თითოეულ წევრს აქვს თითო ხმის უფლება.

12.2. სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია:

12.2.1. გამოითხოვოს და შეამოწმოს კლუბის საბუღალტრო ჩანაწერები და ბალანსები, სალაროსა და ფინანსების მიმდინარე მდგომარეობა;

12.2.2. მოიწვიოს გარე აუდიტი და საჭიორების შემთხვევაში ჩაატაროს სამართლებრივი და ფინანსური ინსპექტირება/კვლევა, შესაბამისად, დანიშნოს დამოუკიდებელი აუდიტორი ან/და იურისტი/იურიდიული კომპანია იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით და დაამტკიცოს მათი ანაზღაურების ოდენობა, შეამოწმოს კლუბის წლიური ანგარიშები და ფინანსური მდგომარეობა;

12.2.3. მონიტორინგი გაუწიოს კლუბის პრეზიდენტის, მისი მოადგილისა და საორგანიზაციო ჯგუფის საქმიანობის შესაბამისობას წინამდებარე წესდებისა და კანონმდებლობის მოთხოვნებთან მიმართებით.

12.3. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს მოწვევა ხდება საქართველოს დედაქალაქ თბილისში:

12.3.1. სამეთვალყურეო საბჭოს მინიმუმ 2 წევრის ინიციატივით წელიწადში არანაკლებ ერთხელ. კრების ინიციატორ წევრთა ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს სხვა წევრებისთვის დღის წესრიგისა და კრების თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება კრებამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე. წერილობითი შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს მინიმუმ 2 წევრის მიერ. კრების დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ყველა წევრი.

12.3.2. კლუბის პრეზიდენტის ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში კლუბის პრეზიდენტი ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის დღის წესრიგისა და კრების თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება კრებამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება

გაგზავნისთანავე. წერილობითი შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს კლუბის პრეზიდენტის მიერ. კრების დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ყველა წევრი.

12.3.3. კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის არანაკლებ ორი წევრის ინიციტივით. ასეთ შემთხვევაში საორგანიზაციო ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის დღის წესრიგისა და კრების თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება კრებამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე. წერილობითი შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს საორგანიზაციო ჯგუფის მინიმუმ ორი წევრის მიერ. კრების დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ კრებას ესწრება ყველა წევრი.

12.3.4. წინამდებარე წესდების 12.4.1, 12.4.2 და 12.4.3 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კრების ჩატარების ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი, ხოლო კრების ჩატარების დროს ნებისმიერი სამუშაო დღე (ქ. თბილისის დროით დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე შუალედში).

12.3.5. წინამდებარე წესდების 12.4.1, 12.4.2 და 12.4.3 გათვალისწინებულ შემთხვევაში, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაზე შესაბამისი წერილობითი დასაბუთების თანდართვის და სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრის თანხმობის არსებობის შემთხვევაში, კრება შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული საშუალების გამოყენებით. კრების ელექტრონული საშუალების გამოყენებით ჩატარების შემთხვევაში კრების მიმდინარეობა, დასაწყისიდან კრების დასრულებამდე, უნდა იქნეს შესაბამისად ჩაწერილი ვიდეოჩანაწერის სახით და შენახული კრების თავჯდომარის მიერ, ხოლო ოქმი ხელმოწერილი თავჯდომარისა და მდივნის მიერ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

12.4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა მიერ კრებაზე გადაწყვეტილების მიღების წესი:

12.4.1. სამეთვალყურეო საბჭოს კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სავალდებულო კვორუმის არსებობის შემთხვევაში - სამეთვალყურეო საბჭოს კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ კრებაზე გამოცხადდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 2/3 (ორი მესამედი). თითოეული წევრი სარგებლობს თითო ხმის უფლებით.

12.4.2. იმ შემთხვევაში, თუ პირველ კრებაზე კვორუმი არ შედგება, კრება ჩატარდება ხელმეორედ, რის შესახებაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ეცნობებათ წინამდებარე წესდების 12.4 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების წესის

დაცვით. აღნიშნულ შემთხვევაში, კრება უფლებამოსილი და გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებულ წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

12.4.3. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს კრებას ხელმძღვანელობს დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით არჩეული სხდომის თავჯდომარე და 1 (ერთი) სხდომის მდივანი.

12.4.4. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს კრების მიერ გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

12.4.5. კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს კრების გადაწყვეტილებები იწერება კრების ოქმ(ებ)ის სახით. სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმს ხელს აწერს სხდომის თავჯდომარე და სხდომის მდივანი.

12.5. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების უფლებამოსილება ვადის ამოწურვის შემდეგ გრძელდება ახალი წევრების დანიშვნამდე.

12.6. სამევალყურეო საბჭოს წევრ(ებ)ის ნებისმიერი საფუძვლით (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, წევრის გარდაცვალება, კლუბის მიზნების საწინააღმდეგო ქმედება, წესდებითა და სხვა აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა და ა.შ) ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კლუბის მმართველ წევრთა კრება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ინიციატივით, მის მიერ თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების სურვილის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი მიმართავს მმართველ წევრთა კრებას წერილობითი მოთხოვნით. მმართველ წევრთა კრება გადაწყვეტილებას გათავისუფლების შესახებ იღებს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 13. პრეზიდენტი და პრეზიდენტის მოადგილე

13.1. კლუბის პრეზიდენტი წინამდებარე წესდების დაცვით აირჩევა კლუბის მმართველ წევრთა მიერ ორი წლის ვადით. კლუბის პრეზიდენტის კანდიდატურას მმართველ წევრთა კრებას წარუდგენს ასოცირებულ წევრთა კრება. ასოცირებულ წევრთა კრება წარსადგენ კანდიდატურას არჩევს კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ წარდგენილი სიიდან. იმ შემთხვევაში, თუ მმართველ წევრთა კრებამ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილ კანდიდატს ზედიზედ ორჯერ, მმართველ წევრთა კრება თავისი ინიციატივით წარდგინების გარეშე ნიშნავს კლუბის პრეზიდენტს. კლუბის კრეზიდენტი უნდა იყოს კლუბის წევრი. კლუბის პრეზიდენტი ანგარიშვალდებულია კლუბის მმართველ წევრთა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

13.2. კლუბის პრეზიდენტს გააჩნია კლუბის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. კლუბის პრეზიდენტი წარმოადგენს კლუბს მესამე პირების წინაშე როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ.

13.3. კლუბის პრეზიდენტი:

13.3.1. წარმართავს კლუბის ყოველდღიური საქმიანობას წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და სხვა მმართველობით ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების/ბიუჯეტის შესაბამისად, ხელმძღვანელობს კლუბის მიერ ორგანანიზავებულ პროექტებს, იღებს მონაწილეობას მათი იმპლემენტაციისა და განხორციელების პროცესში;

13.3.2. უზრუნველყოფს კლუბის მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას;

13.3.3. დებს გარიგებებს მესამე პირებთან წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესის დაცვით;

13.3.4. ამტკიცებს კლუბის შიდა სტრუქტურას, საშტატო ნუსხასა და განრიგს, ადგენს საწევრო გადასახადის ოდენობასა და გადახდის წესს, დებს შრომის ხელშეკრულებებს;

13.3.5. წყვეტს კლუბში ასოცირებული წევრისა და საპატიო წევრის მიღების საკითხს;

13.3.6. წარუდგენს საქმიანობის ანგარიშს კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს ან/და მმართველ წევრთა კრებას, ამ უკანასკნელთა მიერ კონკრეტულ პერიოდზე ანგარიშის მოთხოვნის შემთხვევაში ასეთი მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში;

13.3.7. საჭიროების შემთხვევაში გასცემს მინდობილობას წარმომადგენლობით უფლებამოსილების დელეგირების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

13.3.8. წერილობით აწარმოებს კლუბის წევრთა რეესტრს - წევრთა აღრიცხვას. წევრთა რეესტრის წარმოების ფორმატს წყვეტს თავად პრეზიდენტი.

13.4. პრეზიდენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, კლუბის პრეზიდენტი გადაწყვეტილებებს იღებს ბრძანების ფორმით. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე, თუ ამავე ბრძანებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13.5. კლუბის პრეზიდენტის უფლებამოსილება ვადის ამოწურვის შემდეგ გრძელდება ახალი პრეზიდენტის დანიშვნამდე.

13.6. კლუბის პრეზიდენტის ნებისმიერი საფუძვლით (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კლუბის პრეზიდენტის გარდაცვალება, კლუბის მიზნების საწინააღმდეგო ქმედება, წესდებითა და სხვა აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა და ა.შ) ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კლუბის მმართველ წევრთა კრება. კლუბის პრეზიდენტის ინიციატივით, მის მიერ თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების სურვილის შემთხვევაში, კლუბის პრეზიდენტი მიმართავს მმართველ წევრთა კრებას წერილობითი მოთხოვნით. მმართველ წევრთა კრება გადაწყვეტილებას გათავისუფლების შესახებ იღებს წერილობით მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

13.7. კლუბის პრეზიდენტს ჰყავს ერთი მოადგილე. პრეზიდენტის მოადგილე წინამდებარე წესდების დაცვით აირჩევა კლუბის მმართველ წევრთა მიერ ორი წლის ვადით.

კლუბის პრეზიდენტის მოადგილის კანდიდატურას მმართველ წევრთა კრებას წარუდგენს ასოცირებულ წევრთა კრება. ასოცირებულ წევრთა კრება წარსადგენ კანდიდატურას არჩევს კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ წარდგენილი სიიდან. კლუბის კრეზიდენტის მოადგილე უნდა იყოს კლუბის წევრი. იმ შემთხვევაში, თუ მმართველ წევრთა კრებამ მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილ კანდიდატს ზედიზედ ორჯერ, მმართველ წევრთა კრება თავისი ინიციატივით წარდგინების გარეშე ნიშნავს კლუბის პრეზიდენტის მოადგილეს. კლუბის პრეზიდენტის მოადგილე ანგარიშვალდებულია კლუბის პრეზიდენტის, მმართველ წევრთა და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

13.8. კლუბის პრეზიდენტის მოადგილე ეხმარება კლუბის პრეზიდენტს წესდებით დაკისრებული მოვალეობებისა და უფლებების განხორციელებაში. ის ახორციელებს პრეზიდენტის უფლებებსა და მოვალეობებს კლუბის პრეზიდენტის არყოფნის, გარდაცვალების, თანამდებობის დატოვების ან/და დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში.

13.9. კლუბის პრეზიდენტის მოადგილის უფლებამოსილება ვადის ამოწურვის შემდეგ გრძელდება ახალი მოადგილის დანიშვნამდე.

13.10. კლუბის პრეზიდენტის მოადგილის ნებისმიერი საფუძვლით (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კლუბის პრეზიდენტის მოადგილის გარდაცვალება, კლუბის მიზნების საწინააღმდეგო ქმედება, წესდებითა და სხვა აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა და ა.შ) ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კლუბის მმართველ წევრთა კრება. კლუბის პრეზიდენტის მოადგილის ინიციატივით, მის მიერ თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების სურვილის შემთხვევაში, კლუბის პრეზიდენტის მოადგილე მიმართავს მმართველ წევრთა კრებას წერილობითი მოთხოვნით. მმართველ წევრთა კრება გადაწყვეტილებას გათავისუფლების შესახებ იღებს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 14. საორგანიზაციო ჯგუფი

14.1. კლუბის ერთ-ერთ მმართველობით ორგანოს წარმოადგენს საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც შედგება 2 წლის ვადით არჩეული 11 წევრისგან. საორგანიზაციო ჯგუფის წევრ(ებ)ს ირჩევს და ამტკიცებს კლუბის მმართველ წევრთა კრება კლუბის ასოცირებულ წევრთა კრების წარდგინებით. კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის წევრები უნდა იყვნენ კლუბის წევრები.

14.2. საორგანიზაციო ჯგუფი უფლებამოსილია:

14.2.1. შეიმუშავოს და დასამტკიცებლად ასოცირებულ წევრთა კრებას წარუდგინოს კლუბის წლიური ბიუჯეტის პროექტი;

14.2.2. აწარმოოს კლუბის წევრთა აქტივობის შეფასების მიზნით კვლევები;

14.2.3. კლუბის წევრთა აქტივობაზე დაკვირვების შედეგად კლუბის ასოცირებულ წევრთა კრებას წარუდგინოს კლუბის აქტიურ წევრთა სია, რომლიდანაც ასოცირებულ წევრთა კრება ირჩევს კლუბის პრეზიდენტისა და პრეზიდენტის მოადგილის კანდიდატურებს მმართველ წევრთა კრებისთვის წარსადგენად.

14.2.4. შეიმუშავოს და ორგანიზება გაუწიოს კლუბის საქმიანობის ფარგლებში საგანმანათლებლო და სხვა სახის პროექტებს;

14.2.5. შექმნას წამახალისებელი პროგრამები და პროექტები/შეთავაზებები კლუბის წევრთათვის;

14.3. კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის სხდომის მოწვევა ხდება საქართველოს დედაქალაქ თბილისში:

14.3.1. საორგანიზაციო ჯგუფის მინიმუმ 2 წევრის ინიციატივით კვარტალში არანაკლებ ერთხელ. სხდომის ინიციატორ წევრთა ჯგუფი ვალდებულია უზრუნველყოს საორგანიზაციო ჯგუფის სხვა წევრებისთვის დღის წესრიგისა და სხდომის თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება სხდომამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს საორგანიზაციო ჯგუფის წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე. წერილობითი შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს მინიმუმ 2 წევრის მიერ. სხდომის დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საორგანიზაციო ჯგუფის სხდომაზე იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრება ყველა წევრი.

14.3.2. კლუბის პრეზიდენტის ინიციატივით. ასეთ შემთხვევაში კლუბის პრეზიდენტი ვალდებულია უზრუნველყოს საორგანიზაციო ჯგუფის წევრებისთვის დღის წესრიგისა და სხდომის თარიღის, ზუსტი ადგილმდებარეობის შესახებ წერილობითი შეტყობინების ჩაბარება კრებამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე. წერილობითი შეტყობინება შესაძლებელია გაიგზავნოს საორგანიზაციო ჯგუფის წევრის ელექტრონულ ფოსტაზე. აღნიშნული შეტყობინების ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნისთანავე. წერილობითი შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს კლუბის პრეზიდენტის მიერ. ხსდომის დღის წესრიგის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ საორგანიზაციო ჯგუფის სხდომაზე იმ შემთხვევაში, თუ სხდომას ესწრება ყველა წევრი.

14.3.3. წინამდებარე წესდების 14.3.1 და 14.3.2 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევაში სხდომის ჩატარების ადგილს წარმოადგენს ქალაქი თბილისი, ხოლო სხდომის ჩატარების დროს ნებისმიერი სამუშაო დღე (ქ. თბილისის დროით დილის 10:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე შუალედში).

14.3.4. წინამდებარე წესდების 14.4.1 და 14.4.2 გათვალისწინებულ შემთხვევაში, სხდომის მოწვევის შესახებ შეტყობინებაზე შესაბამისი წერილობითი დასაბუთების

თანდართვის და საორგანიზაციო ჯგუფის ყველა წევრის თანხმობის არსებობის შემთხვევაში, სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს ელექტრონული საშუალების გამოყენებით. სხდომის ელექტრონული საშუალების გამოყენებით ჩატარების შემთხვევაში სხდომის მიმდინარეობა, დასაწყისიდან სხდომის დასრულებამდე, უნდა იქნეს შესაბამისად ჩაწერილი ვიდეოჩანაწერის სახით და შენახული სხდომის თავჯდომარის მიერ, ხოლო ოქმი ხელმოწერილი თავჯდომარისა და მდივნის მიერ „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

14.4. საორგანიზაციო ჯგუფის წევრთა მიერ სხდომაზე გადაწყვეტილების მიღების წესი:

14.4.1. საორგანიზაციო ჯგუფის სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სავალდებულო კვორუმის არსებობის შემთხვევაში - საორგანიზაციო ჯგუფის სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ სხდომაზე გამოცხადდება საორგანიზაციო ჯგუფის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარი. თითოეული წევრი სარგებლობს თითო ხმის უფლებით.

14.4.2. იმ შემთხვევაში, თუ პირველ სხდომაზე კვორუმი არ შედგება, სხდომა ჩატარდება ხელმეორედ, რის შესახებაც საორგანიზაციო ჯგუფის წევრებს ეცნობებათ წინამდებარე წესდების 14.4 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების წესის დაცვით. აღნიშნულ შემთხვევაში, სხდომა უფლებამოსილი და გადაწყვეტილებაუნარიანია გამოცხადებულ წევრთა რაოდენობის მიუხედავად.

14.4.3. კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის სხდომას ხელმძღვანელობს დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით არჩეული სხდომის თავჯდომარე და 1 (ერთი) სხდომის მდივანი.

14.4.4. კლუბის საორგანიზაციო ჯგუდის სხდომის მიერ გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

14.4.5. კლუბის საორგანიზაციო ჯგუფის სხდომის გადაწყვეტილებები იწერება სხდომის ოქმ(ებ)ის სახით. საორგანიზაციო ჯგუფის სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავჯდომარე და სხდომის მდივანი.

14.5. საორგანიზაციო ჯგუფის წევრების უფლებამოსილება ვადის ამოწურვის შემდეგ გრძელდება ახალი წევრების დანიშვნამდე.

14.6. საორგანიზაციო ჯგუფის წევრ(ებ)ის ნებისმიერი საფუძვლით (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, წევრის გარდაცვალება, კლუბის მიზნების საწინააღმდეგო ქმედება, წესდებითა და სხვა აქტებით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა და ა.შ) ვადაზე ადრე გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კლუბის მმართველ წევრთა კრება. საორგანიზაციო ჯგუფის წევრის ინიციატივით, მის მიერ თანამდებობის ვადაზე ადრე დატოვების სურვილის შემთხვევაში, საორგანიზაციო ჯგუფის წევრი მიმართავს მმართველ წევრთა კრებას წერილობითი მოთხოვნით. მმართველ წევრთა კრება გადაწყვეტილებას გათავისუფლების შესახებ იღებს წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 15. კლუბის ქონება

15.1. კლუბის შემოსავლის წყაროებია:

15.1.1. კლუბის წევრთა საწევრო შენატანები;

15.1.2. გრანტით მიღებული ფულადი ან და სხვა სახის სახსრები და ქონება;

15.1.3. შემოწირულობები;

15.1.4. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა შემოსავლები;

15.2. დაუშვებელია კლუბის ქონების განაწილება მის წევრებს შორის;

15.3. ქონება, რომელიც შეძენილია კლუბის მიერ მისი საქმიანობის პროცესში, წარმოადგენს კლუბის საკუთრებას. კლუბი ფლობს, სარგებლობს და განკარგავს მის საკუთრებაში არსებულ ქონებას საკუთარი შეხედულებისამებრ, წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ორგანიზაციული განვითარების ხელშესაწყობად.

მუხლი 16. კლუბის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

16.1. კლუბის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია.

16.2. კლუბის ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს კლუბის მმართველ წევრთა კრებას.

16.3. კლუბის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16.4. კლუბის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს რეგისტრაციის შესახებ განცხადებით განსაზღვრავს კლუბის მმართველ წევრთა კრება. ასეთ შემთხვევაში კლუბის ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

16.4.1. გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების მიღწევას;

16.4.2. გასხვისება ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

16.4.3. ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

16.5. აკრძალულია კლუბის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება მის დამფუძნებლებს/წევრებს, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

16.6. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე კლუბის ლიკვიდაციას ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია კლუბის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს

გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

17.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

17.2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში კლუბის რეგისტრაციის მიზნებისთვის და წესდებით გათვალისწინებული შესაბამისი მმართველობითი ორგანოების ჩამოყალიბებამდე პირველი ვადით დამფუძნებელთა (მმართველ წევრთა) გადაწყვეტილებით/კრების ოქმით ინიშნებიან კლუბის პრეზიდენტი, პრეზიდენტის მოადგილე, სამეთვალყურეო და საორგანიზაციო ჯგუფის წევრები. კლუბის საქართველოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდგომ წესდებით გათვალისწინებული მმართველობითი და წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა/პირთა არჩევისა და გათავისუფლების წესი დაექვემდებარება კლუბის წესდებას.

17.3. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

17.4. ამ წესდებასა და კლუბის სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს შორის წინააღმდეგობრივობის დადგენის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წესდებას.

დამფუძნებელ წევრთა ხელმოწერები:

➢ ქეთევან კიღურაძე-გოგილაშვილი (საქართველოს მოქალაქე; პ/ნ: 01008011012)

ხელმოწერა /_____/

➢ თეა ნაცვლიშვილი (საქართველოს მოქალაქე; პ/ნ: 01011020240)

ხელმოწერა /_____/

➢ სოფიო კიღურაძე (საქართველოს მოქალაქე; პ/ნ: 01031006517)

ხელმოწერა /_____/

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
წესდები №6008
თარიღი "10" აპრილი 2021 წ.
გვ.რაოდენობა 26. ხელმოწერა